ხელშეკრულება N34

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ზუგდიდი

12 ივნისი 2015 წელი

საქართველოს ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად“**, წარმოდგენილი დირექტორის **ციცანა თოლორაია** სახით, და **შ.პ.ს ,,პროფესიონალი-33“-ის** შემდგომში წოდებული **„მიმწოდებლად“** წარმოდგენილი, მისი დირექტორის **დავით ელიავას** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც **„მხარეები“**, ვმოქმედებთ, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები:**

ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. **ხელშეკრულების საგანი:**

2.1. შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი მომსახურების გაწევა:

საქართველოს ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის საბავშვო ბაღებისთვის (28 საბავშვო ბაღი- დანართი თან ერთვის #1) აზომივითი მომსახურების შესყიდვა

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორის კოდი:

CPV7125000 - არქიტექტურული, საინჟინრო-ტექნიკური და აზომვითი მომსახურება

3. **ხელშეკრულების ღირებულება:**

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1400 (ერთიათასოთხასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

4. **მხარეთა ვალდებულებები**

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელმა მომსახურება გაუწიოს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს უნაკლო და ხარისხიანი მომსახურება;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში;

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

5. ხარისხი

5.1. გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას;

5.2. მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მთელი მომსახურების პერიოდში და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში გამოასწოროს ხარვეზი.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც გაწეული მომსახურების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს **საქართველოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრის დირექტორი ციცანა თოლორაია, ბარის გამგე, მატერიალურ-ტექნიკური განყოფილების გამგე მაკა კუკავა**

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს შემსყიდველის ინსპექტირების განხორციელებას;

ბ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მომწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს

გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადების გადაცილების ან/და 6.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვაგაგადაცილებულ დღეზე არგაწეული მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. მომსახურება, ან მისი ნაწილი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2. პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიმწოდებლის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი თანხის ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში. აღნიშნულის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს წერილობით 5 (ხუთი) დღით ადრე.

13.2. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

13.3. ხელშეკრულებების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2015 წლის 12 ივნისიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 აგვისტომდე .

15. ფორს-მაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებისა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს ააიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის	შ.პ.ს. „ პროფესიონალი-33"
სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი	ს/კ 220415183
მისამართი : ქ.ზუგდიდი რუსთაველის ქ #87	ზუგდიდი თამარ მეფის ქ. #27/30
ს/კოდი:419992422	
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს. „ლიბერთი ბანკი"	საბანკო რეკვიზიტები; ქუთაისის „ პრო კრედიტ
ბანკის კოდი: LBRTGE22	ბანკის ფილიალი"
ანგ.#GE91LB0115170425[illegible]	ანგ.# GE12PC0173600100024300
დირექტორი: /გ. თ[illegible]რაია/	წარმომადგენელი: /დ.ელიავა/

NURSERY SCHOOLS CENTER OF ZUGDIDI MUNICIPALITY • GEORGIA • 419992422

GEORGIA 220415183 "PROFESSIONALI-33" LTD

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0181857061

2	30/06/2015	3	17:51:28
თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)		დრო (საათი, წუთი)	

4	შპს პროფესიონალი-33	220415183	5	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი	419992422
გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი		საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი		საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	null
ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)	
8	X
ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)	

9		10	X	
ტრანსპორტირების სახე		სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი		მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X	12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	აზომვითი მომსახურეობა	71250000	ცალი	28.0000	50.0000	1400.0000

13	1400 - ერთი ათას ოთხასი ლარი და ნული თეთრი
მიწოდებული საქონლის მილიონი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)	

14	დავით ელიავა	15	ციცანა თოლორაია
გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)		მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)	

16		17	
ხელმოწერა		ხელმოწერა	

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	30/06/2015	17:51:28
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 27/10/2015, 13:50:36

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0181857061

2	30/06/2015	3	17:51:28
	თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)		დრო (საათი, წუთი)

4	შპს პროფესიონალი-33	220415183
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო პირადი ნომერი

5	"ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ცენტრი	419992422
	მყიდველის (მიმღების) დასახელებაან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	null
	ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X
	ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	
	ტრანსპორტირების სახე

10	X
	სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

ძისამძღელი

11	საატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	აზომვითი მომსახურეობა	71250000	ცალი	28.0000	50.0000	1400.0000

13	1400 - ერთი ათას ოთხასი ლარი და ნული თეთრი
	მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	დავით ელიავა
	გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	ციცანა თოლორაია
	მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	
	ხელმოწერა

17	
	ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	30/06/2015	17:51:28
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი: 27/10/2015, 13:50:36